



დამტკიცებულია

სსიპ პროფესიული კოლეჯის „ოპიზარი“

დირექტორის №27 30.06.2014 წლის

ბრძანებით

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ოპიზარი“

საგანმანათლებლო პროგრამა: მცენარეების დამამზადებელი

(სამკურნალო, არომატული)

მესამე საფეხური

პროგრამის ხელმძღვანელი: ლინა გიორგაძე

ნათია დარზაიძე

2014

1. ზოგადი ნაწილი

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება:

- ”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონს (2010);
- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს (დანართი 2- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და დანართი 4 - მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვე-დარგების/სპეციალობებისა და პროფესიულ სპეციალიზაციათა ჩამონათვალი);
- შესაბამის პროფესიულ სტანდარტს მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული) პროფესიულ სტანდარტს;
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 121/ნ.(10.12.2010)-ე ბრძანებას ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” შესახებ;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს :

“სწავლის პროცესის მარეგულირებელი წესი“

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)

1.3. პროფესიული სპეციალიზაცია

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული) 010158

1.4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მცენარეების დამამზადებელის (სამკურნალო, არომატული) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

60 კრედიტი (1500სთ); თეორიულ კურს ეთმობა 50% ,30 კრედიტი (750 სთ); სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას 50%, 30 კრედიტი (750 სთ). 1 კრედიტი ტოლია 25 საათია.

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

პროგრამის ხანგრძლივობაა(41 კვირა), თეორიული სწავლებისა და სასწავლო პრაქტიკის ხანგრძლივობაა -32 კვირა, საწარმოო პრაქტიკის-9 კვირა. (მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საჭირო დრო).

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1. მინიმალური განათლება

საბაზო განათლება .

2.2. მინიმალური ასაკი

-

2.3. კვალიფიკაცია

-

2.4. შიდა შესარჩევი კონკურსის წესი და პირობები

-

2.5. ქართული ენის ფლობის დონე პროგრამის გავლის მსურველთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური

ქართული ენის ცოდნა ზოგადი განათლების საბაზო დონეზე, რომელიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაძლევად.

2.6. უცხოენოვან პროგრამებზე იმ უცხოური ენის ფლობის დონე, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება

3. დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

- დასქმდეს შრომით ბაზარზე მინიჭებული მცენარეების დამამზადებლის (სამკურნალო არომატული) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად; შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა სახის აგროფირმებში; წამალთმცოდნეობის სხვა დასხვა სფეროს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და დაწესებულებებში.
- განაგრძოს სწავლა პროფესიული კვალიფიკაციის გასაახლებლად და ასამაღლებლად სწავლის მეშვეობით.

4. პროფესიული პროგრამის მიზნები:

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო არომატული) მესამე საფეხურის პროგრამის მიზანია, მოამზადოს მცენარეების დამამზადებელი(სამკურნალო, არომატული), რომელსაც ექნება ამ სფეროს საფუძვლების ცოდნა და გააცნობიერებს მარტივ და რთულ ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელ ნაბიჯებს . კერძოდ, ეცოდინება სამკურნალო მცენარეების მოვლა-მოყვანა, შეგროვება და გადამუშავების ტექნოლოგიები სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით. ამ პროფესიის შესასწავლად უნდა შეასრულოს განსაზღვრული დავალებები,

შეისწავლოს ძირითადი მეთოდები მათი მოვლისა და მოყვანის, შესაბამისი ინსტრუმენტების, მასალების გამოყენებითა და უსაფრთხოების წესების დაცვით. ამ პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სააფთიაქო ქსელში, ფერმერულ მეურნეობაში, ააწყოს საკუთარი ბიზნესი, ითანამშრომლოს ფიტოაფთიაქების ქსელთან. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულები ფლობენ შემდეგ კომპეტენციებს:

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების
- ფიზიკური ამტანობა
- სიფრთხილე
- პასუხისმგებლობა

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლენის
- აღმოჩენილი დაზიანებებისა და სხვა უწყესივრობების აღმოფხვრის
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

სტუდენტებს ასევე გამოუმუშავდებათ კრიტიკული, ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების უნარები. ისინი შეძლებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას .

5. სასწავლო გეგმა

5.1. სწავლის შედეგები/მიღწევის კრიტერიუმები - პროგრამის სასწავლო კურსები/ მოდულები

სწავლის შედეგები (ს.შ.) და შესრულების კრიტერიუმები (კ.)	რეკომენდირებული სასწავლო კურსები/მოდულები
ს.შ.1 იცის სამკურნალო მცენარეების ისტორია	
კ1.1. იცის ხალხური მედიცინის ისტორია;	ფიტოფარმაკოლოგია
კ1.2. იცნობს ზოგადად საქართველოში გავრცელებულ სამკურნალო-არომატულ მცენარეებს;	სასწავლო პრაქტიკა
კ1.3. იცის მათი გავრცელების არეალი;	სასწავლო პრაქტიკა
ს.შ.2 იცის სამკურნალო და არომატული მცენარეების ბოტანიკური აგებულება და მათი ქიმიური შემადგენლობა, შეუძლია მათი იდენტიფიცირება	
კ.2.1 იცის სამკურნალო და არომატული მცენარეების ძირითადი ორგანოების(ფესვი,ღერო,ფოთოლი,ყვავილი) აგებულება და ფუნქციები	-სამკურნალო, მცენარეების მოვლა-მოყვანის და დამზადების ტექნოლოგია
კ.2.2 შეუძლია სამკურნალო, არომატულ მცენარეთა იდენტიფიცირება	-სასწავლო პრაქტიკა
კ.2.3 იცის სამკურნალო და არომატული მცენარეების ქიმიური შენადგენლობა და მათი მნიშვნელობა მცენარისათვის და ფარმაციისათვის	- ფიტოფარმაკოლოგია
ს.შ.3. შეუძლია შეარჩიოს ნიადაგი მცენარეთა კულტივირებისთვის, ნიადაგის დამუშავება, მცენარეთა თესვა და გადარგვა.	
3.1 ცნობს ნიადაგის ტიპებს და მათ შედგენილობას	-სასწავლო პრაქტიკა -საწარმოო პრაქტიკა
3.2 იცის ხვნის დანიშნულება, ხვნის სიღრმე და ვადები	-სასწავლო პრაქტიკა -საწარმოო პრაქტიკა
3.3 შეუძლია ნიადაგის ზედაპირული დამუშავება; (კულტივაცია, აჩეჩვა, ფრეზირება, მიტკეპნა)	-სასწავლო პრაქტიკა -საწარმოო პრაქტიკა
3.4 შეუძლია მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მათი თესვა, ჩითილების გამოყვანა და გადარგვა ღია გრუნტში	-სასწავლო პრაქტიკა -საწარმოო პრაქტიკა

ს.შ. 4. იცის კულტივირებული მცენარის მოვლისა და მოყვანის წესები, ალების ვადები და მცენარეული ნედლეულის შენახვის წესები	
4.1.იცის მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე მცენარეთა მოვლისა და მოყვანის წესები	-სამკურნალო, არომატული მცენარეების მოვლა-მოყვანის დამზადების ტექნოლოგია
4.2.იცის სამკურნალო და არომატული მცენარეების ფარმაკოლოგიური მოქმედება,ქიმიური შემადგენლობა და შესაბამისად შეუძლია მათი ორგანოების ალების ვადების განსაზღვრა,ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გათვალისწინებით.	-ფიტოფარმაკოლოგია; -სამკურნალო, არომატული მცენარეების სტანდარტიზაცია -სასწავლო პრაქტიკა
4.3.იცის და შეუძლია სამკ.და არომატ მცენარეთა შენახვის წესები	-სამკ. და არომატული მცენარეთა სტანდარტიზაცია -სასწავლო პრაქტიკა
ს.შ.5 .შეუძლია სამკ.და არომატულ მცენარეთა მოყვანა და შეგროვება, ასევე შეუძლია ველურად მოზარდი განადგურების პირას მდგომი სამკურნალო არომატული მცენარეების კულტურაში შემოტანა და გამრავლება	
5.1.შეუძლია სამკურნალო და არომატული მცენარეების ცნობა გარეგნული ნიშნებით	-სასწავლო პრაქტიკა
5.2.იცის ველურად მოზარდი განადგურების პირას მდგომი სამკურნალო და არომატული მცენარეები	-სამკურნალო, არომატული მცენარეების მოვლა-მოყვანის დამზადების ტექნოლოგია
5. 3. შეუძლია ველურად მოზარდი განადგურების პირას მყოფი სამკურნალო და არომატული მცენარეების შემოყვანა კულტურაში	-საწარმოო პრაქტიკა -სამკურნალო, არომატული მცენარეების მოვლა-მოყვანის და დამზადების ტექნოლოგია
ს.შ.6.შეუძლია კულტურაში შემოტანილი სამკურნალო და არომატული მცენარეების მოსაყვანად ნიადაგის დამუშავება	
6.1.შეუძლია კულტურაში შემოტანილი სამკურნალო და არომატული მცენარეების მოსაყვანად ნიადაგის დამუშავება, იცის მათი ბიოლოგიური თავისებურებები	-სამკურნალო, არომატული მცენარეების მოვლა-მოყვანის და დამზადების ტექნოლოგია -სასწავლო პრაქტიკა
6.2. შეუძლია კულტურაში შემოტანილი სამკურნალო და არომატული მცენარეების მოსაყვანად მცენარეთა თესლის შეგროვება,თესვის ხერხის განსაზღვრა მცენარეთა ვეგეტაციის ვადების გათვალისწინებით	-სასწავლო პრაქტიკა -სამკურნალო, არომატული მცენარეების მოვლა-მოყვანის და დამზადების ტექნოლოგია
ს.შ.7. შეუძლია კულტურაში შემოტანილი სამკურნალო და არომატული მცენარეების მოსაყვანად საჭირო სასუქების დოზირება, შეტანის ვადების განსაზღვრა და რწყვის რეჟიმის დადგენა	
7.1.შეუძლია კულტურაში შემოტანილი სამკურნალო მცენარეთა განოყიერება მინერალური და ორგანული სასუქებით.	-სასწავლო პრაქტიკა -საწარმოო პრაქტიკა
7.2. შეუძლია ნიადაგში სასუქის შემტანი მანქანების მუშაობა-უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით	-საწარმოო პრაქტიკა
7.3. იცის კულტურაში შემოტანილი კულტურების თავისებურებანი და შეუძლია რწყვის რეჟიმის განსაზღვრა.	-საწარმოო პრაქტიკა

ს.შ.8. შეუძლია სამკურნალო და არომატულ მცენარეთა აღება, გასუფთავება, შრობა, დახარისხება, დაფასოება-ტექნოლოგიური სტანდარტების მიხედვით	
8.1. იცის სამკურნალო და არომატულ მცენარეთა აღების დრო და ვადები, ფარმაციისათვის სასურველი ხარისხის ნედლეულის მისაღებად, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. შეუძლია ნედლეულის შეგროვება, გასუფთავება, რეცხვა, შრობა, დახარისხება და დაფასოება.	-სასწავლო პრაქტიკა -სამკურნალო, არომატული მცენარეების სტანდარტიზაცია -სამკურნალო, არომატული მცენარეების მოვლა-მოყვანის და დამზადების ტექნოლოგია
8.2. შეუძლია სამკურნალო და არომატულ მცენარეთა ცალკეული ნაწილების გასუფთავება, დახარისხება, მათი შრობის ტემპერატურების განსაზღვრა, ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე.	-სასწავლო პრაქტიკა -სამკურნალო, არომატული მცენარეების მოვლა-მოყვანის და დამზადების ტექნოლოგია
8.3. შეუძლია სამკურნალო და არომატულ მცენარეთა დაფასოება	-სასწავლო პრაქტიკა -სამკურნალო, არომატული მცენარეების სტანდარტიზაცია
ს.შ.9. შეუძლია უცხო ენის გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დამოუკიდებლად მოიპოვოს ინფორმაცია, დაამუშაოს და გამოიყენოს დოკუმენტაციის წარმოება საჭიროებისამებრ.	
9.1. შეუძლია ინტერნეტიდან უცხო ენაზე ახალი ინფორმაციის მოძიება, საჭირო დოკუმენტაციის დამუშავება, წარმოება და გამოყენება	-ინგლისური ენა ინფორმაციული ტექნოლოგიები
9.2. შეუძლია ინტერნეტიდან აუდიო-ვიდეო მასალის მოძიება	-ინგლისური ენა ინფორმაციული ტექნოლოგიები
9.3. შეუძლია პრეზენტაციის შექმნა და წარმოდგენა, სამკურნალო მცენარეთა შესახებ	-ფიტოფარმაკოლოგია ინფორმაციული ტექნოლოგიები
ს.შ.10: იცის ძირითადი ეკონომიკური ცნებები, მათი მნიშვნელობა და არსი.	
იცის ორგანიზაციულ/სამართლებრივი ფორმები საქართველოში, გადასახადების სახეები, რეკლამის სახეები და სხვ.	სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები
ს.შ. 11 განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	
აცნობიერებს პროფესიითვის სპეციფიკური უსაფრთხოების წესების მნიშვნელობას, იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.	სასწავლო პრაქტიკა -საწარმოო პრაქტიკა
იცის კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები და მოქმედებს მათ შესატყვისად	სასწავლო პრაქტიკა -საწარმოო პრაქტიკა
ს.შ. 12 შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	
შეუძლია ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის	სასწავლო პრაქტიკა

საფუძველზე გამოიტანოს სწორი დასკვნები	-საწარმოო პრაქტიკა
პროდუქციის ვარგისიანობაზე.წარმოქმნილი პრობლემები გააანალიზოს და საკითხის გადასაწყვეტად შეიმუშავოს შესაბამისი მიდგომა, რომელსაც შემდგომ სამუშაოებში გაითვალისწინებს.	
შეუძლია სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროის, მასალის და ღირებულების განსაზღვრა.	
შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	
ს.შ. 13. შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	
შეუძლია გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები.	მცენარეების სტანდარტიზაცია ფიტოფარმაკოლოგია
დამოუკიდებლად მოიპოვოს ინფორმაცია, დაამუშავოს და გამოიყენოს საჭიროებისამებრ.	

5.2. სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი, სწავლების ფორმა(ტიპი), საათებისა და კრედიტების განაწილებ

	სასწავლო კურსები/მოდულები	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
	ზოგადი სასწავლო კურსები								
1.	სამეწარმეო საქმიანობის საფუძველები	3	31				2/1	41	75

2.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	31					2/1	41	75
3.	უცხო ენა (ინგლისური)	3	31					2/1	41	75
	სპეციალური თეორიული სასწავლო კურსები									
4.	სამკურნალო, არომატული მცენარეების მოვლა -მოყვანის და დამზადების ტექნოლოგია	9	186					3/1	35	225
5.	ფიტოფარმაკოლოგია	8	155					3/1	41	200
6.	სამკურნალო, არომატული მცენარეების სტანდარტიზაცია	4	62					2/1	35	100
	სპეციალური პრაქტიკული სასწავლო კურსები									
7.	სასწავლო პრაქტიკა	18				434		12/4		450
8.	საწარმოო პრაქტიკა	12					280	16/4		300
	შეჯამებული კრედიტები/საათები	60	496			434	280	42/14	234	1500

5.3. სწავლების პროცესის ორგანიზება

პროგრამის განხორციელების დროს ყველა დისციპლინისათვის კვირეული დატვირთვა ნაწილდება თანაბრად. 32 კვირის განმავლობაში მიმდინარეობს სწავლება და ხდება შუალედური შეფასებების ჩატარება თითოეული კურსის საპროგრამო მასალიდან გამომდინარე, თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ ხდება 9 კვირის განმავლობაში საწარმოო პრაქტიკის გავლა. საწარმოო პრაქტიკის ყოველდღიური დატვირთვა შეადგენს 7 სთ-ს, სულ-280სთ, პრაქტიკის შუალედური გამოცდა-16 სთ. დასკვნითი გამოცდა-4 სთ.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტების ათვისება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს.

სასწავლო კურსების/მოდულების კვირეული განაწილება

№	სასწავლო კურსები/მოდულები	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	V კვირა	6-31 კვირა	შუალედური გამოცდების სთ-ები	ბოლო 1 კვირა- დაკვნიითი გამოცდა	(8 კვირა) საწარმოო პრაქტიკა	ბოლო 1 კვირა - დაკვნიით გამოცდა. საწარმოო პრაქ.	ჯამი 41
	ინფორმაციული ტექნოლოგიები	1	1	1	1	1	1.....1	2	1			34
	უცხო ენა (ინგლისური)	1	1	1	1	1	1.....1	2	1			34

სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები	1	1	1	1	1	1.....1	2	1				34
სამკურნალო, არომატული მცენარეების მოვლა - მოყვანის და დამზადების ტექნოლოგია	6	6	6	6	6	6....6	3	1				190
ფიტოფარმაკოლოგია	5	5	5	5	5	5....5	3	1				159
სამკურნალო, არომატული მცენარეების სტანდარტიზაცია	2	2	2	2	2	2....2	2	1				65
სასწავლო პრაქტიკა	14	14	14	14	14	14....14	12	4				450
საწარმოო პრაქტიკა							16		280	4		300
ჯამი	30	30	30	30	30	30...30	42	10	280	4		1266

5.4. განმარტებები (დამატებითი ინფორმაცია)

პროგრამის სწავლება განისაზღვრება 41 კვირით; თეორიული სწავლება და სასწავლო პრაქტიკა მიმდინარეობს 32 კვირის განმავლობაში , რასაც მოსდევს 9 კვირიანი საწარმოო პრაქტიკა.

50%- (30 კრედიტი -750 სთ) ეთმობა თეორიულ სწავლებას, 50%-(30 კრედიტი-750 სთ) სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას .

სასწავლო პრაქტიკა მიმდინარეობს თეორიულ სწავლებასთან ერთად, ხოლო საწარმოო პრაქტიკა გათვალისწინებულია თეორიული და სასწავლო პრაქტიკის კურსის დასრულების შემდეგ ,რომელიც მთავრდება დაკვნიით გამოცდით .

სასწავლო პრაქტიკის კვირეული დატვირთვა შეადგენს 14 სთ-ს, ხოლო თეორიულის კი 16 სთ-ს, სასწავლო პროცესის კვირეული დატვირთვა შეადგენს 30 სთ-ს, საწარმოო პრაქტიკის კვირეული დატვირთვაა 35 სთ.

6. სწავლებისა და სწავლის მიდგომები, მეთოდები

პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად, სწავლებისა და სწავლის მიდგომების შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის თავისებურება, პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებები და დამსაქმებელთა მოთხოვნები. თითოეული საგნის სწავლების მეთოდიკა დეტალურად აღწერილია შესაბამის სილაბუსში.

პროგრამა არის სტუდენტზე ორიენტირებული, ემსახურება შრომის ბაზრისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ლექცია
- სემინარი,
- დისკუსია
- როლური თამაშები
- პრეზენტაცია
- დემონსტრირება
- პრაქტიკული სავარჯიშო
- ინსტრუქტაჟი
- დაკვირვება

7. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

- ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, ლაბორატორიულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელი მეცადინეობა;
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- შემაჯამებელი შეფასებებისათვის მომზადება და ჩაბარება;
- სხვა დატვირთვა, რომელიც ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

8. შეფასების სისტემა

8.1. პროფესიული სტუდენტის მოსწრების შეფასება

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც აისახება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #121/ნ 2010წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი. “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ამ მუხლის პუნქტით 2 (ა) გათვალისწინებული ერთ–ერთი დადებითი შეფასების მეშვეობით.

შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (ა) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (ბ) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (გ) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (დ) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (ე) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასები 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და რომ ეძლევა შესაძლებლობა, ჩააბაროს დამატებითი გამოცდა დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;

ბ.ბ) (F) ჩაჭრა 40% ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია და მითითებულია 100 ქულაში შუალედური და საბოლოო შეფასების წილი.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ერთჯერადი შეფასება მხოლოდ საბოლოო გამოცდის საფუძველზე. შეფასება უნდა მოიცავდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) საბოლოო გამოცდის შეფასებას;

საბოლოო გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში გამოცდიდან, სულ მცირე, 10 დღეში პროფესიულ სტუდენტს დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს.

8.2. შეფასების ინსტრუმენტები

პრაქტიკული უნარების შეფასების ინსტრუმენტები:

პრაქტიკული სავარჯიშო

სიმულაცია

დემონსტრირება

პრეზენტაცია

შემეცნებითი უნარების შეფასების ინსტრუმენტები:

ტესტი

ზეპირი გამოცდა

წერითი ნაშრომი

სიტუაციური ამოცანა

პრეზენტაცია

8.3. სიზუსტის ხარისხი

მრავალი არჩევითი პასუხით, თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, მცდარი პასუხი 0 ქულით. ტესტში ღია პასუხით სწორე პასუხს ენიჭება 2 ქულა, არასწორ პასუხს-0 ქულა, არასრულ სწორ პასუხს-1 ქულა.

8.4. შეფასებისათვის განკუთვნილი დრო

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის გამოყოფილი დრო ნაჩვენებია სასწავლო გეგმასა და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში. ტესტირება საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაგრძელდება 1-2 სთ-ი, ხოლო პრაქტიკული კომპეტენციების შესფასებლად დრო განისაზღვრება კომპეტენციის კომპლექსურობის მიხედვით.

8.5. განმეორებითი შეფასება

თუკი შეფასების განმავლობაში ვერ მოხდა კომპეტენციის მტკიცებულების დემონსტრირება, უარყოფითად შეფასებული ნაწილი ხელახლა შეფასდება.

8.6. შეფასების ცხრილი

შეფასების ცხრილი		
სწავლის შედეგები (ს.შ.)	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების მეთოდები ,ინსტრუმენტები
ს.შ.1 იცის სამკურნალო მცენარეების ისტორია	კ1.1. იცის ხალხური მედიცინის ისტორია; კ1.2. იცნობს ზოგადად საქართველოში გავრცელებულ სამკურნალო-არომატულ მცენარეებს; კ1.3. იცის მათი გავრცელების არეალი;	დაკვირვება პრაქტიკული სავარჯიშო წერითი ნაშრომი

<p>ს.შ.6. შეუძლია კულტურაში შემოტანილი სამკურნალო და არომატული მცენარეების მოსაყვანად ნიადაგის დამუშავება</p>	<p>6.1. შეუძლია კულტურაში შემოტანილი სამკურნალო და არომატული მცენარეების მოსაყვანად ნიადაგის დამუშავება, იცის მათი ბიოლოგიური თავისებურებები 6.2. შეუძლია კულტურაში შემოტანილი სამკურნალო და არომატული მცენარეების მოსაყვანად მცენარეთა თესლის შეგროვება, თესვის ხერხის განსაზღვრა მცენარეთა ვეგეტაციის ვადების გათვალისწინებით</p>	<p>ზეპირი გამოცდა პრაქტიკული სავარჯოშო ტესტირება</p>
<p>ს.შ.7. შეუძლია კულტურაში შემოტანილი სამკურნალო და არომატული მცენარეების მოსაყვანად საჭირო სასუქების დოზირება, შეტანის ვადების განსაზღვრა და რწყვის რეჟიმის დადგენა</p>	<p>7.1. შეუძლია კულტურაში შემოტანილი სამკურნალო მცენარეთა განოყიერება მინერალური და ორგანული სასუქებით. 7.2. შეუძლია ნიადაგში სასუქის შემტანი მანქანების მუშაობა- უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით 7.3. იცის კულტურაში შემოტანილი კულტურების თავისებურებანი და შეუძლია რწყვის რეჟიმის განსაზღვრა.</p>	<p>დაკვირვება დაკვირვება დაკვირვება</p>
<p>ს.შ.8. შეუძლია სამკურნალო და არომატულ მცენარეთა აღება, გასუფთავება, შრობა, დახარისხება, დაფასოება-ტექნოლოგიური სტანდარტების მიხედვით</p>	<p>8.1. იცის სამკურნალო და არომატულ მცენარეთა აღების დრო და ვადები, ფარმაციისათვის სასურველი ხარისხის ნედლეულის მისაღებად, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. შეუძლია ნედლეულის შეგროვება, გასუფთავება, რეცხვა, შრობა, დახარისხება და დაფასოება. 8.2. შეუძლია სამკურნალო და არომატულ მცენარეთა ცალკეული ნაწილების გასუფთავება, დახარისხება, მათი შრობის ტემპერატურების განსაზღვრა, ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე. 8,3. შეუძლია სამკურნალო და არომატულ მცენარეთა დაფასოება</p>	<p>დაკვირვება ტესტირება ზეპირი გამოცდა ტესტირება პრაქტიკული სავარჯოშო</p>
<p>ს.შ.9. შეუძლია უცხო ენის გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დამოუკიდებლად მოიპოვოს ინფორმაცია, დაამუშაოს და გამოიყენოს დოკუმენტაციის წარმოება საჭიროებისამებრ.</p>	<p>9.1. შეუძლია ინტერნეტიდან უცხო ენაზე ახალი ინფორმაციის მოძიება, საჭირო დოკუმენტაციის დამუშავება, წარმოება და გამოყენება 9.2. შეუძლია ინტერნეტიდან აუდიო-ვიდეო მასალის მოძიება 9.3. შეუძლია პრეზენტაციის შექმნა და წარმოდგენა, სამკურნალო მცენარეთა შესახებ</p>	<p>ტესტირება პრაქტიკული სავარჯოშო</p>

<p>ს.შ.10: იცის ძირითადი ეკონომიკური ცნებები, მათი მნიშვნელობა და არსი.</p>	<p>იცის ორგანიზაციულ/სამართლებრივი ფორმები საქართველოში, გადასახადების სახეები, რეკლამის სახეები და სხვ.</p>	<p>ტესტირება</p>
<p>ს.შ. 11 განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>11.1.-აცნობიერებს პროფესიითვის სპეციფიკური უსაფრთხოების წესების მნიშვნელობას, იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. 11.2.-იცის კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები და მოქმედებს მათ შესატყვისად</p>	<p>პრაქტიკული სავარჯიშო დაკვირვება</p>
<p>ს.შ. 12 .შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>-შეუძლია ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე გამოიტანოს სწორი დასკვნები -პროდუქციის ვარგისიანობაზე.წარმოქმნილი პრობლემები გაანალიზოს და საკითხის გადასაწყვეტად შეიმუშავოს შესაბამისი მიდგომა, რომელსაც შემდგომ სამუშაოებში გაითვალისწინებს. -შეუძლია სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროის, მასალის და ღირებულების განსაზღვრა. -შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>დაკვირვება</p>
<p>ს.შ. 13. შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>-შეუძლია გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები. -დამოუკიდებლად მოიპოვოს ინფორმაცია, დაამუშავოს და გამოიყენოს საჭიროებისამებრ.</p>	<p>ზეპირი გამოცდა</p>

თითოეული საგნის სწავლების შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები დეტალურად აღწერილია შესაბამის სილაბუსებში -დანართი 3

9. პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი

კურსდამთავრებულს ენიჭება მცენარეების დამამზადებელ (სამკურნალო, არომატული) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი საფეხურის პროფესიული დიპლომი.

10. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება

„საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პროფესიულ კოლეჯს „ოპიზარი“ აქვს უფლება გასცეს პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე

11. ადამიანური რესურსი - დანართი -4

#	პედაგოგი	სასწავლო კურსი	კვალიფიკაცია	
1	თამარაძე ლამარა	ინფორმაციული ტექნოლოგიები	მათემატიკა, ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკის პედაგოგი	
2	აკოფაშვილი ფიქრია	უცხო ენა (ინგლისური)	ბაკალავრი ინგლისური ენის პედაგოგი	
3	ინასარიძე ეკა	სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები	ეკონომიკისა მართვის სპეციალისტი	
4	დარბაიძე ნათია	სამკურნალო, არომატული მცენარეების მოვლა -მოყვანის და დამზადების ტექნოლოგია	ეკოლოგ-მენეჯერი	
5	სუდაძე ვერა	ფიტოფარმაცოლოგია	ექიმი	
6	დარბაიძე ნათია	სამკურნალო, არომატული მცენარეების სტანდარტიზაცია	ეკოლოგ-მენეჯერი	
7	გიორგაძე ლინა	სასწავლო პრაქტიკა	აგროინჟინერი	
8	გიორგაძე ლინა	საწარმოო პრაქტიკა	აგროინჟინერი	

12. მატერიალური რესურსი: -დანართი -5

პროგრამის სასწავლო პრაქტიკის გავლა ხდება სასწავლებლის ბაზაზე- .პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, სადაც არსებობს პროგრამის შესაბამისი ლიტერატურა.

საწარმოო პრაქტიკის გავლა სხვადასხვა საწარმოში და ორგანიზაციებში სადაც გაფორმებულია მემორანდუმები. (არსებობს მემორანდუმები) -დანართი 6

საგანმანათლებლო დაწესებულება: სსიპ პროფესიული კოლეჯი „ოპიზარი“
